წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2019 წლის 1 აპრილი

ქ. წალკა

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები შემდეგი სახით:

1) სამორინეს თითოეულ მაგიდაზე – კვარტალში 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

2) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 (ორი ათასი) ლარი;

3) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

4) სისტემური – ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

5) ლატარიის მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 18%;

6) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 2000 (ორი ათასი) ლარი;

7) კლუბის თითოეულ მაგიდაზე – კვარტალში 4 000 (ოთხი ათასი) ლარი.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალკის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 დეკემბრის №60 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 03/01/2012, 210020010.35.155.016066).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილი**